შპს ,,იუჯი სკოლის“ 1 წლიანი სამოქმედო გეგმა

დამტკიცებულია პარტნიორთა კრების 2024 წლის 5 აგვისტო N 4/21 ოქმით
სხდომის თავმჯდომარე, პარტნიორი ———
მანანა სანაძე

იუჯი სკოლის მისია

იუჯი სკოლის ხედვა

2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხარისხი, შედეგების ანალიზი

2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხარისხი, შედეგების ანალიზი -ბათუმი

2024-2025 სასწავლო წლის გეგმები

2024-2025 სასწავლო წელს ბათუმში იგეგემება შემდეგი ღონისძიებები

იუჯი სკოლის მისია

ჩვენი მისიაა განათლებული, ჰუმანურ-ლიბერალური ღირებულებების მქონე და პატრიოტული გრძნობით აღჭურვილი, ანალიტიკურად და შემოქმედებითად მოაზროვნე ღირსეული მოქალაქის აღზრდა, რომელსაც თავისუფლად შეეძლება სკოლაში მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების მეშვეობით საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება შემდგომი პიროვნული განვითარებისათვის ქვეყნის შიგნით, თუ ქვეყნის საზღვრებს გარეთ

იუჯი სკოლის მისია

ჩვენი მისიაა განათლებული, ჰუმანურ-ლიბერალური ღირებულებების მქონე და პატრიოტული გრძნობით აღჭურვილი, ანალიტიკურად და შემოქმედებითად მოაზროვნე ღირსეული მოქალაქის აღზრდა, რომელსაც თავისუფლად შეეძლება სკოლაში მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების მეშვეობით საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება შემდგომი პიროვნული განვითარებისათვის ქვეყნის შიგნით, თუ ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხარისხი, შედეგების ანალიზი

1. ჩოგბურთის კორტისათვის კედლის აშენება და მეტი უსაფრთხოებისათვის მოედნის სხვა კედლების დარბილება (იგულისხმება განსაკუთრებით ფეხბურთის მოედნები)

ამ ამოცანას სკოლამ ნაწილობრივ გაართვა თავი. ჩოგბურთის კედლის მშენებლობა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან სამშენებლო ფირმის შეფასებით, არსებული კედლების ამაღლება იმისთვის, რომ ბურთით კედელთან თამაში შესაძლებელი გამხდარიყო ვერ იქნებოდა უსაფრთხო და კედლის ჩამოშლის საფრთხეს შექმნიდა, ამიტომ სკოლამ უარი თქვა ამ ჩანაფიქრზე.
რაც შეეხება უსაფრთხოების მიზნით კედლების დარბილებას, სკოლამ ხელოვნური ბალახისა და სხვა მასალებით დაარბილა მოედნების გარშემო კედლები.
2. სკოლის შიდა და გარე ელექტრო სისტემის თანამედროვე სტანდარტებით გამართვა სკოლის მეტი უსაფრთხოებისათვის.

სკოლამ ამ მომენტისათვის მაქსიმალურად გამართა სკოლის შიდა და შენობის გარეთა ელექტროგაყვანილობა, მოაწესრიგა ქვესადგურისაკენ გადასასვლელი გზა, დახურული მოედნის სახურავში არსებული მოუწესრიგებელი გაყვნილოვა. შეიმუშავა შენობის შიგნით მწყობრიდან გამოსული შტეფსელების, ჩამრთველებისა თუ სხვა ელექტრო

საფრთხის შემცველი ადგილების დეტექციისა და შემდგომი რეაგირების გეგმა, რაც მეტად უსაფრთხოს ქმნის სასკოლო გარემოს მოსწავლეთათვის.
3. სკოლაში ახალი კადრის უსაფრთხოების ოფიცერის აყვანა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში მეტი უსაფრთხოების დაცვას

სკოლამ აიყვანა შესაბამისი კადრი თეონა ახვლედიანი.

4. „ალგეთის“ საზაფხულო ბანაკის პირველად გახსნა
საქართველოს უნივერსიტეტმა შეაჩერა საზაფხულო ბანაკის მშენებლობა, შესაბამისად, სკოლა ვერ იყენებს აღნიშნულ დაგეგმილ ინფრასტრუქტურას. ბანაკების მშენებლობა ამ მომენტში გადადებულია შემდეგ წლებზე.
5. ბრიტანული საზაფხულო ბანაკის პოპულარიზაცია სკოლაში, ასევე ახალი ბანაკების და საზღვარგარეთის ტურების შეთავაზება მოსწავლეებისათვის შეერთებულ შტატებში, თუ ევროპის ქვეყნებში.

ბრუტანეთში ბანაკში წელს ბევრი ბავშვი (ორი ჯგუფი) გაუშვა სკოლამ. შეთავაზება და ვიზების გაკეთება დროულად განხორციელდა. მოსწავლეები ახლა ბრიტანეთის ეფსონის კოლეჯში იმყოფებიან. მოსწავლეებს შეეტავაზათ ესპანეთის ტური (ესპანური მასწავლებლის მხრიდან) და ამერიკის შეერთებული შტატების ტური.
შტატების ტური გადაიდო სავიზო რეჟიმის გამო. სავარაუდოდ განმეორებით შტატების ვიზაზე სკოლა განაცხადს შეიტანს იანვრის თვეში
6. ინტეგრირებულ ახალი სასკოლო პროგრამის აკრედიტაციაზე მუშაობის დაწყება.

იქიდან გამომდინარე, რომ 2024 წელს განათლების მინისტრმა სკოლები გაათავისუფლა ძალიან ბევრი ფორმალური შეზღუდვისაგან, სკოლას აღარ აქვს ინტერესი საკუთარი პროგრამის აკრედიტაციის. სკოლა თავისუფლად ახორციელებს საკუთარ დუალისტურ შერწყმულ პროგრამას ისე, რომ სრულებით ფარავს საფეხურით დასახულ მიზნებს.
7. ახალი სკოლის შენობის კონცეფციის მოფიქრება (რომელიც იჯარით სკოლას უნდა გადმოეცეს 2024 წლიდან.

სკოლის თანამშრომლებმა უკვე გააკეთეს ზედაპირული მონახაზი სკოლის ახალი შენობის, თუმცა ამ მხრივ რეალურად კიდევ გასაგრძლებელია მუშაობა. არ არის კონკრეტული გეგმა შედგენილი ზუსტად რა უნდა იყოს გარემონტებული, რათა ოთახები გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან, რომლები გაერთიანდნენ და სხვა. ეს ნაწილი უნდა იყოს გათვალისწინებული სკოლის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაში.

8. ბიბლიოთეკის ფონდის განახლება
სკოლამ საგრძნობლად განაახლა ბიბლიოთეკის რესურსები ამ წელს.
9. ახალი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა მინიმუმ სამი საბავშვო ავტობუსით
სკოლის ავტოპარკის განახლება.

სკოლამ შეიძინე სამი ახალი 28 ბავშვიანი ყვითელი ავტობური, რომელიც გათვლილია სკოლის მოსწავლეებზე.
ამ სამმა ავტობუსმა ჩანაცვლა სკოლის ხუთი მინი-ავტობუსი.
საჭიროა კიდევ სამი ახალი ავტობუსის ჩამოყვანა, რათა სრულად განახლდეს სკოლის ავტოპარკი. ეს საკითხი გასათვალისწინებელია 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაში.
10. სხვა საჭირო ინვენტარის შეძენა-განახლება (რკინის კარადები მე-8,9,10 კლასებისათვის)

სკოლამ შეიძინა 2023-2024 სასწავლო წლისათვის ყველა საჭირო ინვენტარი მათ შორის რკინის ინდივიდუალური კარადები მაღალკლასელთათვის.
სკოლას ჯერ არ შეუძენია ის რაოდენობა რკინის კარადების, რომ სკოლის ყველა მოსწავლეს ჰქონდეს თავისი ინდივიდუალური კარადა, შესაბამისად, ეს საკითხი გასათვალისწინებელია 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაში.
11. სკოლის პედაგოგებისა და ადმინისტრაციის პროფესიული განვითარება და განვითარების მექანიზმების დახვეწა.

სკოლამ გაწერაპედაგოგების პროფესიული განვითარების სქემა, პედაგოგები გადამზადდნენ სხვადასხვა ტრეინინგების მეშვეობით

2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაში.
მიზეზი იმისა, თუ რატომ არ შესრულდა ეს ამოცანა არის სკოლის ადამიანური რესურსებისა და იურიდიული სამსახურის უფროსის დატვირთული სამუშაო გრაფიკი.
სკოლის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით 2024 წლის სექტემბრიდან სკოლამ უნდა აიყვანოს ახალი HR რომელიც ბოლომდე მიიყვანს ამ დასახულ ამოცანას.
ეს გათვალისწინებულ უნდა იყოს 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაში.
12. ელექტრონული შიდა ბაზის განვითარება (ადმინისტრაციისათვის საჭირო გვერდების შექმნა და შიდა ბაზის სრულფასოვნად გამართვა)

სკოლამ წარმატებით ითანამშრომლა სკოლის ახალ პროგრამისტთან 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში. შეიქმნა ბევრი გვერდი ადმინისტრაციისათვის. პროცესი ჯერ

კიდევ მიმდინარეობს, თუმცა ადმინისტრაცია უკვე წარმატებით იყენებს ელექტრონულ ბაზას.
13. ახალი დამრიგებლების დატრეინინგება და შემდეგი სასწავლო წლისათვის მათი მომზადება (განსაკუთრებით „პრესკულის“ დამრიგებლების სასკოლო გარემოსთან ინტეგრირება)

წელს სკოლამ წარმატებით დაატრენინგა ახალი დამრიგებლები, დაკვირვების, მონიტორინგის, უკუკავშირის მიცემის მეთოდებით „პრესკულის“ დამრიგებლებიც ძალიან კარგად ადაპტირდნენ სასკოლო გარემოსთან.
სასურველის „პრესკულის“ პედაგოგების ზოგადად სასკოლო ცხოვრებაში მეტად ჩართვა, კორპორატიულ ღონისძიებებზე, სასკოლო ფესტივალებსა თუ აქციებზე. ამ მხრივ ასევე უნდა კარგად იმუშავოს სკოლის ახალმა HR-მა
14. პროგრამირებისა და რობოტექნიკის პროგრამებზე მუშაობის გაგრძელება, ლიმენსის აკადემიის შიდა რესურსით ჩანაცვლება და „სტემის“ ლაბორატორიის შექმნა
სკოლამ შეიძინა ძვირადღირებული მასალები და ლიმენსის აკადემია სრულად ჩაანაცვლა საკუთარი შიდა რესურსებით. სკოლამ შექმნა სტემის ახალი ლაბორატორია, რომელშიც წარმატებით ტარდება რობოტექნიკის გაკვეთილებიც, რომგორც სტემის შემადგენელი ერთეული.
სტემის ლაბორატორიის ხელმძღვანელად სკოლად დანიშნა სკოლის ფიზიკის პედაგოგი მედეა აბრამიშვილი
მედეა აბრამიშვილმა სკოლასთან შეთანხმებით შექმნა სტემ გაკვეთილების ახალი კურიკულუმი თითოეული კლასისათვის 35 კვირაზე. ასევე მანვე სკოლის შიდა კადრები და სტემის მასწავლებლები.
სკოლამ შეიძინა მედეას მიერ გაწერილი ყველა რესურსი. სტემის გაკვეთილები წარმატებით ტარდება სკოლაში

2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხარისხი, შედეგების ანალიზი -ბათუმი

15. „ალგეთის“ საზაფხულო ბანაკის პირველად გახსნა

საქართველოს უნივერსიტეტმა შეაჩერა საზაფხულო ბანაკის მშენებლობა, შესაბამისად, სკოლა ვერ იყენებს აღნიშნულ დაგეგმილ ინფრასტრუქტურას. ბანაკების მშენებლობა ამ მომენტში გადადებულია შემდეგ წლებზე.

16. ბრიტანული საზაფხულო ბანაკის პოპულარიზაცია სკოლაში, ასევე ახალი ბანაკების და საზღვარგარეთის ტურების შეთავაზება მოსწავლეებისათვის შეერთებულ შტატებში, თუ ევროპის ქვეყნებში.

ბრუტანეთში ბანაკში წელს ბევრი ბავშვი (ორი ჯგუფი) გაუშვა სკოლამ. შეთავაზება და ვიზების გაკეთება დროულად განხორციელდა. მოსწავლეები ახლა ბრიტანეთის ეფსონის კოლეჯში იმყოფებიან. მოსწავლეებს შეეტავაზათ ესპანეთის ტური (ესპანური მასწავლებლის მხრიდან) და ამერიკის შეერთებული შტატების ტური.შტატების ტური გადაიდო სავიზო რეჟიმის გამო. სავარაუდოდ განმეორებით შტატების ვიზაზე სკოლა განაცხადს შეიტანს იანვრის თვეში
17. ინტეგრირებულ ახალი სასკოლო პროგრამის აკრედიტაციაზე მუშაობის დაწყება.

იქიდან გამომდინარე, რომ 2024 წელს განათლების მინისტრმა სკოლები გაათავისუფლა ძალიან ბევრი ფორმალური შეზღუდვისაგან, სკოლას აღარ აქვს ინტერესი საკუთარი პროგრამის აკრედიტაციის. სკოლა თავისუფლად ახორციელებს საკუთარ დუალისტურ შერწყმულ პროგრამას თბილისში, ხოლო ბათუმში მოხდა მასწავლებლების გადამზადება და იგეგმება პროგრამის განხორციელება
18. ახალი სკოლის შენობის არქიტექტურულ ნაწილზე მუშაობის დასრულება და მშნებლობის ნებართვის აღება

ახალი სკოლის შენობის არქიტექტურულ ნაწილზე მუშაობა დასრულებულია. თუმცა 41-ე დადგენილების ერთ-ერთი პუნქტის შეუსრულებლობის გამო მშენებლობის ნებართვა არ იქნა გაცემული. კერძოდ: ახალი სკოლის შენობისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე არსებული მზა შენობა (რომლის გადაკეთებაც მოხდა არქიტექტურულ ნაწილში არქიტექტორის მიერ) არ იძლევა 41-ე დადგენილების კონკრეტული პირობის შესრულებას და მოითხოვს მზა შენობის დემონტაჟს და შენობა/ნაგებობის თავიდან დადგმას, რაც მოითხოვს გაუთვალისწინებელ ხარჯებს. ამიტომ ამ ეტაპზე აღნიშნული პროექტი შეჩერებულია.
19. ბათუმის სკოლის სამზარეულოს ტექნიკის და ინვენტარის შეცვლა

სკოლამ საგრძნობლად განაახლა სამზარეულოს რესურსები ამ წელს.
20. საკლასო ოთახების კედლის საფარის, კარები და ფარდა/ჟალუზების შეცვლა/განახლება

სკოლამ შეცვალა კედლის საფარი, საკლასო ოთახების კარები და ფარდა/ჟალუზები მთელ ტერიტორიაზე.

21. სხვა საჭირო ინვენტარის შეძენა-განახლება (კარადები მე-8,9,10 კლასებისათვის)
სკოლამ შეიძინა 2023-2024 სასწავლო წლისათვის ყველა საჭირო ინვენტარი მათ შორის ინდივიდუალური კარადები მაღალკლასელთათვის.
სკოლას ჯერ არ შეუძენია ის რაოდენობა კარადების, რომ სკოლის ყველა საშუალო საფეხურის მოსწავლეს ჰქონდეს თავისი ინდივიდუალური კარადა, შესაბამისად, ეს საკითხი გასათვალისწინებელია 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაში.
22. სკოლის პედაგოგებისა და ადმინისტრაციის პროფესიული განვითარება და განვითარების მექანიზმების დახვეწა.

სკოლამ გაწერაპედაგოგების პროფესიული განვითარების სქემა, პედაგოგები გადამზადდნენ სხვადასხვა ტრეინინგების მეშვეობით
სკოლას არ შეუქმნია სკოლის თანამშრომლების პროფესიული განვითარების სქემა რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაში.
მიზეზი იმისა, თუ რატომ არ შესრულდა ეს ამოცანა მდგომარეობს სკოლის იურისტის და HR-ის გვანცა მანიას დაკავებულობა. სკოლის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით 2024 წლის სექტემბრიდან სკოლამ უნდა აიყვანოს ახალი HR რომელიც ბოლომდე მიიყვანს ამ დასახულ ამოცანას. ეს გათვალისწინებულ უნდა იყოს 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაში.
23. ელექტრონული შიდა ბაზის განვითარება (ადმინისტრაციისათვის საჭირო გვერდების შექმნა და შიდა ბაზის სრულფასოვნად გამართვა)

სკოლამ წარმატებით ითანამშრომლა სკოლის ახალ პროგრამისტთან 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში. შეიქმნა ბევრი გვერდი ადმინისტრაციისათვის. პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, თუმცა ადმინისტრაცია უკვე წარმატებით იყენებს ელექტრონულ ბაზას.

24. ახალი დამრიგებლების დატრეინინგება და შემდეგი სასწავლო წლისათვის მათი მომზადება
წელს სკოლამ წარმატებით დაატრენინგა ახალი დამრიგებლები, დაკვირვების, მონიტორინგის, უკუკავშირის მიცემის მეთოდებით ახალი დამრიგებლები ძალიან კარგად ადაპტირდნენ სასკოლო გარემოსთან.
25. ინფორმატიკის კაბინეტის განახლება

სკოლამ აიყვანა ახალი თანამშრომელი, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი, შეიძინა მის მიერ გაწერილი რესურსები და განაახლა ინვენტარი.

2024-2025 სასწავლო წელს იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

1. სკოლაში ახალი უფასო საოლიმპიადე კლუბების გახსნა დაინტერესებულ მოსწავლეთათვის

2. სკოლაში თანამშრომლების პროფესიული განვითარების სქემის შექმნა.

3. სკოლის ძირითადი სხვა საშუალებების განახლება: ავტოპარკის განახლება ახალი ავტობუსების შეძენით; რკინის კარადების, სპორტული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკის რესურსების, ტექნიკის, ლაბორატორიის რესურსების, აუდიტორიების და საოფისე ავეჯის შეძენა და სხვა.

4. არსებული მასწავლებლების დატრენინგება-გადამზადებას,

5. სკოლის ტექნოლოგიური ბაზების დახვეწა. ადმინისტრაციის ყველა წევრისთვის დამოუკიდებელი ელექტრონული მისთვის დამხმარე გვერდის შექმნა.

6. სკოლაში მოსწავლეებისათვის მეტი საგნის შეთავაზება ბრიტანული კოლეჯის დონეზე (A-levels), ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში უსასყიდლოდ, ან დამატებითი საფასურის სანაცვლოდ.

7. დამრიგებლების, პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების გადამზადება ახალი სააღმზრდელო პროგრამების მიხედვით.

8. სასკოლო განაკებისა და მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კლუბების გამრავალფეროვნება

9. STEAM - ის პროგრამის გამართვა და ინტეგრირება ბუნებისმეტყველების საგნების სილაბუსებთან.

10. კობისის რეგულაციების სრული იმპლემენტაცია

11. სასკოლო უსაფრთხოების წესების, სააღმზრდელო თუ სადამრიგებლო პროგრამების თუ სხვა რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტების (კობისის სტანდარტების) მიხედვით გაწერა.

12. სასკოლო საზოგადოებისათვის ახალი რეგულაციებისა და პროგრამების გაზიარება, ყოველდღიურ სასკოლო ცხვორებაში დანერგვა.

13. კობისის ავტორიზაციის პროცესის ფორმალური დაწყება და წარმატებული დასრულება.

14. ახალი, ინტეგრირებული სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის წიგნის შექმნა ისტორიაში, პოლიტიკურ გეოგრაფიაში, ეკონომიკა, ხელოვნება, მუსლიტერატურასა და ფილოსოფიაში.

15. სასკოლო „ჰაუსების“, ან „სადროშეების“ დანერგვა, რითიც გაძლიერდება სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობა და გამდიდრდება სასკოლო ცხოვრებაც.

16. STEAM -ისა და რობოტექნიკა-პროგრამირების ახალი ლაბორატორიის შექმნას, ან არსებულის გაუმჯობესებას.

17. წიგნიერების ახალი, ისტორიის საგანთან ინტეგრირებული პროგრამის შექმნა

18. მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩრთულობის გაძლიერება მშობელთა მმართველობითი ორგანოს ჩამოყალიბების სახით.

19. საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ-პროფესიონალი აკადემიური კადრით უზრუნველყოფა,

20. იუჯის მაღალი კლასების პედაგოგების კერძოდ GCSE და A Levels- ის პედაგოგების მეტად ჩართვა სასკოლო აქტივობებში, მათი დატრენინგება და სასკოლო ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრირება.

21. მოსწავლეთათვის A Levels- ის პედაგოგების, ასევე სხვა არაფორმალური განათლების ფარგლებში არსებული პროგრამების გამრავალფეროვნება

22. პარკირების ზონის, სკოლისაკენ შემომავალი გზის მოწესრიგება, უცხო მანქანების შემოსვლის უკეთესი კონტროლი, შესაძლო ფასიანი პარკირების სისტემის დანერგვა.

23. ხელოვნების სახელოსნოდან თიხის გამოსაწველი ქორუს გამოცალკევებას და მისთვის ცალკე სივრცის გამოყოფას.

24. სკოლის შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გარემონტება, უსაფრთხოების ნორმებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა.

25. ყოველწლიური ფესტივალისა და კონფერენციის წარმართვის ტრადიციის დანერგვა (ამ წელს სამეცნიერო ფესტივალისა და კონფერენციის ორგანიზება)

26. მოსწავლეთა ყოველწლიურ ქვეყნის შიდა, თუ საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის ფასილიტაცია

27. სააბიტურო კლასის მოსწავლეებისათვის პროფესიისა და პროგრამების შერჩევის, უნივერსიტეტების არჩევის, ჩაბარების და დაფინანსებების მოპოვების მიმართულებით დამხვარე სამსახურის შექმნა.

28. სკოლაში ახალი HR თანამშრომლის დაქირავება რომელიც მიიღებს სხვადასხვა ზომებს პედაგოგებისთვის მეტი კომფორტის შექმნის, სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობის გაზრდესა, საქმისადმი ენდთუზიაზემი გაზრდის მიზნით.

29. სკოლის სამომავლო იჯარით ასაღები შენობის დეტალური დაგეგმვა (შიდა მოწყობის)

ამოცანები	განსახორციელებელი ღონისძიებები	განხორციელების ვადები	პასუხის-მგებელი პირები	მიღწეული შედეგის განმსა-ზღვრელი ფაქტორები
სკოლაში ახალი უსასყიდლო საოლიმპიადე კლუბების გახსნა დაინტერესებულ მოსწავლეთათვის	1) პედაგოგთან შეთანხმება, რომ უხელმძღვანელოს საოლიმპიადო ჯგუფს, მოამზადოს ბავშვები, გაიყვანოს ოლიმპიადაზე 2) ხელშეკრულების გაფორმება პედაგოგთან 3) კლუბის მატერიალური მხარდაჭერა 4) მოსწავლეებში კლუბში გაწევრიანების წახალისება	2024-სექტემბერი-ოქტომბერი	სკოლის კათედრის ხელმძღვანელები, იურიდიული სამსახურისა და ადამინური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, სკოლის ახალი HR	ფიზიკის საოლიმპიადე ჯგუფის გარდა (რომელიც სკოლაში ისედაც არსებობს), მოსწავლეები ერთვებიან სხვა საოლიმპიადე ჯგუფებში ინტერესების მიხედვით, ემზადებიან, გადიან ოლიმპიადებზე
სკოლის ძირითადი სხვა	1) სამი ავტობუსის	2024-აგვისტო	სამეურნეო სამსახურის უფროსი	სკოლის მოსწავლეები და თანამშრომლები

საშუალებების განახლება	შეძენა (თანხის სრულად გადახდა და ჩამოყვანა) 2) რკინის კარადების, სპორტული აღჭურვილობის, ტექნიკის, ბიბლიოთეკის რესურსების, ლაბორატორიის რესურსების, აუდიტორიების და სხვა საოფისე ავეჯის შეძენა		ტრანსპორტირების სამსახურის უფროსი ფინანსური სამსახურის უფროსი	სარგებლობენ სკოლის ძირითადი საშუალებებით
სკოლაში თანამშრომლების პროფესიული განვითარების სქემის შექმნა	1. სკოლის ახალი HR სკოლის ადმინისტრაციის უფროსთან ერთად სკოლის თანამშრომლებთან შეთანხმებით შეადგენს სკოლის თანამშრომლების პროფესიული განვითარების სქემას 2. სკოლის პროფესიული განვითარების სქემა გამოქეყნდება	2025 იანვარი	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების მიმართულებით სკოლის ახალი HR ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების ხარისხის მართვის მიმართულებით	სკოლის ყველა თანამშრომელს ეცოდინება მისი პროფესიული განვითარების გეგმა და მიზანი

	სკოლის თანამშრომლებთან			
არსებული მასწავლებლების დატრენინგება-გადამზადება	1. ტრენინგების ჩატარების ორგანიზება 2. ტრენინგის დაფინანსება 3. ტრენინგზე პედაგოგთა დასწრების უზრუნველყოფა	2024-2025 სასწავლო წლები	ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების ხარისხის მართვის მიმართულებით კემბრიჯის პროგრამის მენეჯერი	სკოლას ეყოლება ამაღლებული კომპეტენციის კადრები სკოლაში და გაუმჯობესდება მათი მუშაობის ხარისხი
სკოლის ტექნოლოგიური ბაზების დახვეწა. ადმინისტრაციის ყველა წევრისთვის დამოუკიდებელი ელექტრონული მისთვის დამხმარე გვერდის შექმნა.	1. სკოლის პროგრამისტისათვის ტექნიკური დავალებების ეტაპობრივი მიცემა 2. გაწეული საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება	2024-2025 მთელი წლის განმავლობაში	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი	სკოლის ყველა თანამშრომელი სარგებლობს სკოლის ახალი ელექტრონული ბაზით, რომელიც მორგებულია მათ საჭიროებებს და უადვილებს მათ ყოველდღიურ შრომას.

სკოლაში მოსწავლეებისათვის მეტი საგნის შეთავაზება ბრიტანული კოლეჯის დონეზე (A-levels), ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში უსასყიდლოდ, ან დამატებითი საფასურის სანაცვლოდ.	1. კოლეჯის პროგრამების გაცნობა 2. პედაგოგების მოძიება 3. მოსწავლეებისათვის ფასიანი და უფასო შემოთავაზებების გაკეთება 4. სკოლაში ახალი წრეების, კლუბების დაარსება (1. საინტერესო არაფორმალური განათლების საინტერესო კლუბების მოძიება 2. სკოლის ბაზაზე მათი ფუნქციონირების მიმარტულებით ხელშეკრულების გაფორმება 3. სკოლის მოსწავლეებისათვის ახალი შეთავაზებების გაცნობა და რეგისტრაციის	2025-მაისი	კემბრიჯის პროგრამის მენეჯერი, სკოლის ადმინისტრაციის უფროსი	კოლეჯის (A Levels) ეტაპზე სკოლაში მოსწავლეებს აქვთ დიდი არჩევანი რა საგანი აირჩიონ ნაწილი უფასოდ, ნაწილი დამატებითი საფასურის სანაცვლოდ სკოლაში ფუნქციონირებს მრავალი არაფორმალური განათლების წრე

	პროცესის ფასილიტაცია			
დამრიგებლების, პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების გადამზადება ახალი სააღმზრდელო პროგრამების მიხედვით.	1. ტრენინგების ორგანიზება 2. დატრენინგებული დამრიგელბებისა და თანამშრომლების მიერ პროგრამის განხორციელების მუდმივი მონიტორინგი და უკუკავშირის მიცემა 3. მონიტორინგის სისტემის შექმნა და ტრენერისა თუ მენტორის შერჩევა სკოლის წიაღიდან, ან გარე, ახალი კადრის მოწვევა	2025 თებერვალი -მარტი	ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების მიმართულებით , ფსიქოლოგიის სამსახურის უფროსი, ადამიანური რესურსების, საქმის წარმოებისდა იურიდიული სამსახურს უფროსი სკოლის ახალი HR	დამრიგებლებიც და პედაგოგებიც ახალ სააღმზრდელო პროგრამას ახორციელებენ მაღალი ხარისხვით
მოსწავლეთათვის ტრადიციული სასკოლო ბანაკების შეთავაზება საქართველოს	1. შერჩევა საზაფხულო და ზამთრის ბანაკების რომელთანაც	2025 მაისი	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი, ადამიანური რესურსების, საქმის	სკოლის მოსწავლეები ყოველ ზაფხულს და ზამთარს დადიან სკოლის მიერ

მაშტაბით როგორც ზაფხულში ისე ზამთარში მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კლუბების გამრავალფეროვნება	სკოლა ითანამშრომლებს ყოველწლიურად 2. ბანაკებთან მაქსიმალურად მოსწავლეებისათვის სარფიანი ხელშეკრულების გაფორმება 3. შერჩეული ბანაკების მოსწავლეებში პოპულარიზაცია		წარმოებისდა იურიდიული სამსახურს უფროსი, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების მიმართულებით	შემოთავაზებულ ბანაკებში
მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კლუბების გამრავალფეროვნება	1. ფასიანი წრეების, სახელოსნოების, სტუდიების მოწვევა სკოლაში 2. მათთან ხელშეკრულების გაფორმება 3. მოსწავლეებისათვის ახალი კლუბების გახსნის შესახებ ინფორმაციის მიიწოდება	2024-ოქტომბერი	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი, ადამიანური რესურსების, საქმის წარმოებისდა იურიდიული სამსახურს უფროსი, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების მიმართულებით,	სკოლის მოსწავლეები სკოლის დასრულების შემდგომ დადიან სხვადასხვა ფასიან წრეებზე ინტერესების მიხედვით, აქვთ მეტი არჩევანი.
STEAM - ის პროგრამის გამართვა და ინტეგრირება ბუნებისმეტყვე	1. სტემის პროგრამის გაწერა ბუნებისმეტყველების	2024-დეკემბერი	Steam პროგრამის ხელმძღვანელი,	სკოლაში დანერგილია ბუნებისმეტყველებასთან ინტეგრირებული

ლების საგნების სილაბუსებთან.	პროგრამასთან თანხვედრაში თითოეული კლასის 35 კვირაზე 2. STEAM - ის ლაბორატოსიის ხელმძღვანელისა თვის ამ საქმის შესრულების დავალება 3. გაწერილი პროგრამის შესაბამისი რესურსების შეძება 4. პედაგოების დატრენინგება შეცვლილი პროგრამის მიხედვით		ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების ხარისხის მართვის მიმართულებით	სტემის პროგრამა, რომლის ხარისხიან ხანგირციელებას ახდენენ დატრენინგებული პედაგოგები STEAM - ლაბორატირიის ხელმძღვანელობის ქვეშ.
კობისის რეგულაციების სრული იმპლემენტაცია	1. სამუშაო ჯგუფის შექმნა რომელიც იმუშავებს სკოლის რეგულაციების კობისის რეგულაციებთან თანხვედრაში მოყვანაზე 2. სამუშაო ჯგუფისათვის სამუშაოს	2025 მარტი	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი, კემბრიჯის პროგრამის მენეჯერი,	სკოლის რეგულაციები სრულ თანხვედრაშია კობისის მოთხოვნებთან და რეგულაციებთან

	შესრულებისათვის ვადების განსაზღვრა			
სასკოლო უსაფრთხოების წესების, სააღმზრდელო თუ სადამრიგებლო პროგრამების თუ სხვა რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტების (კობისის სტანდარტების) მიხედვით გაწერა.	1. სამუშაო ჯგუფის შექმნა რომელშიც შევლენ ფსიქოლოგები, მენეჯერები, იურისტი, და სხვა ადმინისტრაციის წევრები 2. გუნდისათვის სამუშოს შესასრულებლად დროის მიცემა	2025 მარტი	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი, კემბრიჯის პროგრამის მენეჯერი,	სკოლის თანამშრომლები სარგებლობენ საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისად გაწერილი სადამრიგებლო-სააღმზრდელო პროგრამით, უსაფრთხოების წესებით, და სხვა.
სასკოლო საზოგადოების ათვის ახალი რეგულაციების ა და პროგრამების გაზიარება, ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში დანერგვა.	1. შედგენილი რეგულაციების, სტანდარტების და პროგრამების სასკოლო საზოგადოებისა თვის გაცნობა ელ.-ჟურნალისა და ვებ-გვერდის მეშვეობით 2. მისი შესრულების მონიტორინგი და უკუკავშირი	2025 მარტი	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების მიმართულებით, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების ხარისხის მართვის	სკოლის თანამშრომლები ხელმძღვანელობენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჯანდაცვის, ფსიქოლოგიური დახმარების, კვების უზრუნველყოფის თუ სხვა სფეროში.სადამრიგებლო-სააღმზრდელო

	თანამშრომლებთან ხარვეზის დადგენის შემთხვევაში 3. მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა		მიმართულებით,	პროგრამა მისადაგებულია კობისის მოთხოვნებს
კობისის ავტორიზაციის პროცესის ფორმალური დაწყება და წარმატებული დასრულება.	1. კობისის ორგანიზაციაში აკრედიტაციის პროცესის დაწყების მოთხოვნის გაგზავნა 2. კობისის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია, სკოლაში დახვედრა, ყველა საჭირო დოკუმენტის მათთვის გაზიარება	2025 აპრილი	კემბრიჯის პროგრამის მენეჯერი, სკოლის ადმინისტრაციის უფროსი,	სკოლამ დაიწყო აკრედიტაციის პროცესი კობისის წარმომადგენლებს მიეწოდათ მოთხოვნილი დოკუმენტაცია სკოლაში მოსულ ექსპერტებს გაეცნოთ სასკოლო გარემო
ახალი, ინტეგრირებული სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის წიგნის შექმნა	1.მანანა სანაძის მიერ შექმნილი რესურსების დასამუშავებლად და სამუშო ჯგუფის შექმნა	2024-2025 მთელი წლის განმავლობაში	ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების ხარისხის მართვის	პედაგოგები და მოსწავლეები სარგებლობენ ახალი ისტორიის სახელმძღვანელოთი, რომელიც შეესაბამება

ისტორიაში, პოლიტიკურ გეოგრაფიაში, ეკონომიკა, ხელოვნება მუსლიტერატურასა და ფილოსოფიაში.	2.ჯგუფისთვის დავალების მიცემა რომ დაწერილ რესურსს მისცენ სახელმძღვანელოს ფორმატი 3.სამუშაო ჯგუფისათვის ვადების მიხემა 4.საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმება		მიმართულებით, სკოლის ადმინისტრაციის უფროსი,	საქართველოში არსებულ სახელმძღვანელოს სტანდარტებს
სასკოლო „ჰაუსების“, ან „სადროშეების“ დანერგვა, რითიც გაძლიერდება სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობა და გამდიდრდება სასკოლო ცხოვრებაც.	1. „სადროშეების“ კონცეფციის შემუშავება სკოლაში დანერგვაზე გენადი კიანთან ხელშეკრულების გაფორმება 2. გენადისთვის სისტემის კონცეფციის მოფიქრების, მოსწავლეებთან გაზიარების, სისტემის აწყობისათვის ვადების მიცემა 3. სისტემის აწყობის პროცესის მონიტორინგი	2025-თებერვალი	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი, საოლიმპიადო ფიზიკის წრის ხელძღვანელი,	სკოლაში დანერგილია „სადროშეების“ ბრიტანული სისტემა ტველა მოსწავლე გაწევრიანებულია რომელიღაც სადროშეში დანიშნულია ბევრი აქტივობა და პროექტი რომელშიც სადროშეები იღებენ მონაწილეობას

STEAM -ისა და რობოტექნიკა-პროგრამირების ახალი ლაბორატორიის შექმნას, ან არსებულის გაუმჯობესებას .	1. მედეა აბრამიშვილს დაევალოს სტემის ლაბორატორიის კონცეფციის მოფიქრება 2. კონცეფციის მიხედვით საჭირო ინვენტარის შეძენა დაევალოს ლოჯისტიკის სამსახურს	2024-დეკემბერი	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი, სამეურნეო სამსახურის უფროსი,	სკოლაში განახლდა სტემის ლაბორატორია ლაბორატორიაში მოსწავლეები სარგებლობენ სილაბუსების შესაბამისი საჭირო ინვენტარით
წიგნიერების ახალი, ისტორიის საგანთან ინტეგრირებული პროგრამის შექმნა	1.ქართულის კათედრისათვის წიგნიერების პროგრამის ისტორიასთან შერწყმის საჭიროების გაცნობა 2.სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც წასაკითხ მასალას მოსწავლეთა ასაკის მიხედვით შეუსაბამებს იმ ეპოქას რომელსაც მოსწავლეები ისტორიაში გადიან	2024-სექტემბერი	ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების ხარისხის მართვის მიმართულებით, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი,	სკოლაში მოსწავლეები კითხვის კლუბში გადიან ნაწარმოებებს, რომელიც თანხვედრაშია იმ ეპოქასთან რომელსაც ისტორიაში გადიან

	3.სამუშო ჯგუფისათვის პროგრამის გასაწერად დროის მიცემა			
მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩრთულობის გაძლიერება მშობელთა მმართველობითი ორგანოს ჩამოყალიბების სახით.	1.მშობელთა კლუბის შექმნისა და ფუნქციონირების რეგულაციის გაწერა 2.მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდება 3.მშობელთა კლუბში მშობლების რეგისტრაცია და შემუშავებული რეგულაციების მიხედვით უფლებამოსილების მშობლებისათვის დელეგირება	2024 სექტემბერი	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი, ადამიანური რესურსების, საქმის წარმოებისდა იურიდიული სამსახურს უფროსი, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების მიმართულებით,	სკოლის მშობლები ჩრთული არიან სკოლის მართვაში აქვთ განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი
საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ-პროფესიონალი აკადემიური კადრით უზრუნველყოფა	ახალი კადრების აყვანა მოხდეს კონკურსის მეშვეობით პედაგოგის შერჩევისას ყურადღება მიექცეს მის სტაჟს მის პროფესიონალიზმს.	2024-2025 სასწავლო წლები	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების ხარისხის მართვის მიმართულებით,	სკოლაში პროგრამების განხორციელების ხარისხმა აიწია რადგამ გაკვეთილებს ატარებენ საგნის პროფესიონალი პედაგოგები

	ხელშეკრულება გაფორმდეს მხოლოდ პროფესიონალ პედაგოგებთან		სკოლის ახალი HR	
იუჯის GCSE და Alevel - პროგრამების პედაგოგების მეტად ჩართვა სასკოლო აქტივობებში, სასკოლო ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრირება.	სკოლის გასვლით თუ შიდასასკოლო ღონისძიებებში GCSE და Alevel - პროგრამების პედაგოგების ჩართვა პედაგოგებისთვის ურთიერთდასწრების ცხრილის გაწერა და მისი მონიტორინგი	2024-2025 სასწავლო წლები	ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების ხარისხის მართვის მიმართულებით, კემბრიჯის პროგრამის მენეჯერი,	GCSE და Alevel - პროგრამების პედაგოგები სრულად იცნობენ სკოლის სტრუქტურას, მუშაობის წესებს, რეგულაციებსა და მეთოდოლოგიას და იზიარებენ მათ. იცნობენ ბავშვებსა და პედაგოგებს, მონაწილეობას იღებენ სკოლის სხვადასხვა აქტივობებში
პარკირების ზონის, სკოლისაკენ შემომავალი გზის მოწესრიგება, შესაძლო ფასიანი პარკირების სისტემის დანერგვა.	სკოლის პატარა პარკირებაზე მანქანის შემზღუდავი ლითონის საპარკინგო კონსტუქციების დაყენება შემომავალი გზის გამყოფი ზოლის გზის ბოლომდე გაყვანა	2024-ოქტომბერი	სამეურნეო სამსახურსი უფროსი, ტრანსპორტირების სამსახურის უფროსი	სკოლისაკენ მომავალ არ იქმნება საცობები პატარა პარკირებას იყენებენ მხოლოდ თანამშრომლები ფასიანი პარკირების სისტემის დაყენების საკითხი შესწავლილია

	დიდ პარკირებაზე ფასიანი პარკირების სისტემის დაყენების პერსპექტივების შესწავლა და ფინანსური მომგებიანობის დათვლა			
ხელოვნების სახელოსნოდან თიხის გამოსაწველი ქორუს გამოცალკევებას და მისთვის ცალკე სივრცის გამოყოფას.	1.ხელოვნების სახელოსნოს ეზოში ქურისათვის შესაბამისი სივრცის მოძებნა 2.წვიმისგან დაცული კონსტრუქციის აშენება სადაც მიყვანილი იქნება სამფაზიანი დენი 3.ქურის ნაგებოდაში გადატანა და დამონტაჟება 4. ქურის ამგვარად გამოყენების ღირებულების დათვლა თვის განმავლობაში	2024-ნოემბერი	სამეურნეო სამსახურის უფროსი, ფინანსური სამსახურის უფროსი	სკოლის ხელოვნების სახელოსნოს ეზოში აშენებულია მცირე ნაგებობა, რომელშიც გამართულად ფუნქციონირებს თიხის გამოსაწვავი ღუმელი. სკოლას შესწავლილი აქვს ქურის გამოყენების თვიური ხარჯი
სკოლის შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება,	სკოლის შენობების განახლების სამუშაოები,	2025 - იანვარი	სამეურნეო სამსახურის უფროსი,	ნიკოლოზ კუცია სკოლაში განახლებულია რემონტი,

გარემონტება, უსაფრთხოების ნორმებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა.	კედლების შეღებვა, პლინტუსების გამოცვლა, სანტეხნიკის გამოცვლა, სკოლის აუდიტორიების კარებების ჩანაცვლება გამძლე, სპეცილაური კარებით, რომელიც უძლებს დატვირთვას უსაფრთხოების ნორმების განსაკუთრებით ელექტროობისა და დარბილებების, სრიალა ზედაპირების, წვეტიანი კუთხეების მიმართ უსაფრთხოების ნორმების დაცულობის მონიტორინგი, დაცულობის ხარისხის გაუმჯობესება		უსაფრთხო სკოლის მენეჯერი	გამოცვლილია ყოველდღიური ცვეთისგან დაზიანებული სანტეხნიკა, პლინტუსები, აუდიტორიის კარები და სხვა, ჩანაცვლებულია უფრო ხარისხიანი მასალით. სკოლის ინფრასტრუქტურული უსაფრთხოების ხარისხი გაზრდილია, გამკაცრებულია მისი კონტროლიც
ყოველწლიური ფესტივალისა და კონფერენციის	კათედრის ხელმძღვანელები სათვის კათედრის წევრებისაგან	2024-2025 სასწავლო წლები	ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების	სკოლაში ეწყობა სხვადასხვა საგნობრივი კონფერენციები

წარმართვის დანერგვა სხვადასხვა საგანში	სამუშაო ჯგუფის შექმნისა და წელიწადში ერთი სამეცნიერო ფესტივალის ან კონფერენციის ორგანიზების დავალდებულება სამეცნიერო ფესტივალებისა და კონფერენციების კალენდრის შედგენა ორგანიზაციულ საკითხში კათედრის წევრებისათვის ლოჯისტიკური დახმარება ფესტივალებისა და კონფერენციების დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესის მონიტორინგი, მხარდჭერა და შემდგომი უკუკავშირი კათედრის ხელმძღვანელებთან		ხარისხის მართვის მიმართულებით, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების ხარისხის მართვის მიმართულებით,	და სამეცნიერო ფესტივალები სკოლაში ჩამოყვალიბებულია ტრადიცია, სავეცნიერო კონფერენციებისა და ფესტივალების კალენდარი მოსწავლეები ჩართულები არიან პროცესში ინტერესების მიხედვით
მოსწავლეთა ყოველწლიურ ქვეყნის შიდა, თუ	მოსწავლეთა საერთაშორისო თუ ქვეყნისმაშტაბით	2024-2025 სასწავლო წლები	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი,	სკოლაში არის ადამიანი, რომელიც მოიპოვებს

საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის ფასილიტაცია	კონკურსებში, ოლიმპიადებსა და შეჯიბრებში ჩართვის ფასილიტაციაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა პასუხისმგებელი პირის მიერ მსგავსი კონკურსების და ილიმპიადების შესახებ ინფორმაციის მოპოვების და სასკოლო საზოგადოებისათვის დროული გაცნობის დავალება შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი			ინფორმაციებს საერთაშორისო თუ ქვეყნის შიგნით არსებული კონკურსებისა თუ ოლიმპიადების შესახებ და ამ ინფორმაციას დროულად აცნობს სკოლის საზოგადოებას, შესაბამისად მეტი მოსწავლე იღებს მონაწილეობას შეჯიბრებებში
ახალი HR -ის აყვანა	HR-ის თანამდებობდაზე კონკურსის გამოცხადება გასაუბრებაზე მოსული კანდიდატებიდან საუკეთესო კანდიდატის შერჩევა კანდიდატთან ხელშეკრულების გაფორმება	2024 სექტემბერი	ადამიანური რესურსების, საქმის წარმოებისდა იურიდიული სამსახურს უფროსი	სკოლაში მუშაობს ახალი HR

სააბიტურო კლასის მოსწავლეებისათვის პროფესიისა და პროგრამების შერჩევის, უნივერსიტეტების არჩევის, ჩაბარების და დაფინანსებების მოპოვების მიმართულებით დამხმარე სამსახურის შექმნა	ხელშეკრულების გაფორმება პირთან, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს პროფესიის, პროგრამის, უნივერსიტეტების არჩევისა და უნივერსიტეტებში ჩაბარებისა თუ დაფინანსების მოპოვებაში, ასევე რომელიც ქეთევან გეგიაძესთან ერთად დაეხმარება მოსწავლეებს მეტი გაიგონ სხვადასხვა პროფესიებზე.	2024-სექტემბერი	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი,	სკოლაში არის შექმნილი სამსახური, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს პროფესიის შერჩევის, შესაფერისი პროგრამის, უნივერსიტეტის შერჩევისა და შემდგომ უნივერსიტეტში ჩაბარებისა თუ დაფინანსების მიღების მიმართულებით.
სკოლის სამომავლო იჯარით ასაღები შენობის დეტალური დაგეგმვა (შიდა მოწყობის)	სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც განსაზღვრავს სკოლის საჭიროებებს, შემოერთებული შენობის ფუნქციას და სხვა. სამშაო ჯგუფს დაევალოს წერილობით განსაზღვრონ ახალ შენობაში ჩასატარებელი სარემონტო	2024 დეკემბერი	სკოლის ადმინისტრაციის უფროსი, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე სწავლების მიმართულებით	სკოლას აქვს დეტალურად გაწერილი გეგმა და ხედვა, თუ როგორ გამოიყენებს ახალ შენობას. რა ფუნქციით დატვირთავს მას, და შესაბამისად აქვს ჩასატარებელი სამუშაოების, საყიდელი ტექნიკისა და რესურსების

	სამუშაოები, შესაძენი ინვენტარი და რესურსები ჯგუფს მუშობისათვის მიეცეს განსაზღვრული დრო 2025 წლის გაზაფხულამდე.			დეტალური გაწერილი გეგმა

2024-2025 სასწავლო წელს ბათუმში იგეგმება შემდეგი ღონისძიებები:

30. სკოლაში ახალი უფასო საოლიმპიადე კლუბების გახსნა დაინტერესებულ მოსწავლეთათვის

31. სკოლაში თანამშრომლების პროფესიული განვითარების სქემის შექმნა.

32. სკოლის ძირითადი სხვა საშუალებების განახლება: ავტოპარკის განახლება ახალი ავტობუსების შეძენით; ახალი კარადების, სპორტული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკის რესურსების, ტექნიკის, ლაბორატორიის რესურსების, აუდიტორიების და საოფისე ავეჯის შეძენა და სხვა.

33. არსებული მასწავლებლების დატრენინგება-გადამზადებას,

34. სკოლის ტექნოლოგიური ბაზების დახვეწა. ადმინისტრაციის ყველა წევრისთვის დამოუკიდებელი ელექტრონული მისთვის დამხმარე გვერდის შექმნა.

35. სკოლაში მოსწავლეებისათვის მეტი საგნის შეთავაზება არაფორმალური განათლების ფარგლებში უსასყიდლოდ, ან დამატებითი საფასურის სანაცვლოდ.

36. დამრიგებლების, პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების გადამზადება ახალი სააღმზრდელო პროგრამების მიხედვით.

37. სასკოლო განაკებისა და მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კლუბების გამრავალფეროვნება

38. STEAM - ის პროგრამის დანერგვა, გამართვა და ინტეგრირება ბუნებისმეტყველების საგნების სილაბუსებთან.

39. სასკოლო უსაფრთხოების წესების, სააღმზრდელო თუ სადამრიგებლო პროგრამების თუ სხვა რეგულაციების სტანდარტების მიხედვით გაწერა.

40. სასკოლო საზოგადოებისათვის ახალი რეგულაციებისა და პროგრამების გაზიარება, ყოველდღიურ სასკოლო ცხვორებაში დანერგვა.

41. ახალი, ინტეგრირებული სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის წიგნის შექმნა ისტორიაში, პოლიტიკურ გეოგრაფიაში, ეკონომიკა, ხელოვნება, მუსლიტერატურასა და ფილოსოფიაში.

42. თეატრალური დასის გაყვანა საერთაშორისო ასპარეზზე ისევ და ფსიქოლოგის კლუბის შექმნა, რითიც გაძლიერდება სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობა და გამდიდრდება სასკოლო ცხოვრებაც.

43. სკოლის შენობის აუდიო გახმოვანების სისტემის მოწყობა

44. წიგნიერების ახალი, ისტორიის საგანთან ინტეგრირებული პროგრამის შექმნა

45. მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩრთულობის გაძლიერება მშობელთა მმართველობითი ორგანოს ჩამოყალიბების სახით.

46. საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ-პროფესიონალი აკადემიური კადრით უზრუნველყოფა,

47. იუჯის მაღალი კლასების პედაგოგების მეტად ჩართვა სასკოლო აქტივობებში, მათი დატრენინგება და სასკოლო ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრირება.

48. პარკირების ზონის, სკოლისაკენ შემომავალი გზის მოწესრიგება, უცხო მანქანების შემოსვლის უკეთესი კონტროლი, დისტანციურად სამართავი ბარიერის/ელექტრო კარის მოწყობა ეზოს შესასვლელთან

49. ხელოვნების სახელოსნოს შექმნა

50. სკოლის შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გარემონტება, უსაფრთხოების ნორმებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოყვანა.

51. ყოველწლიური ფესტივალისა და კონფერენციის წარმართვის ტრადიციის დანერგვა (ამ წელს სამეცნიერო ფესტივალისა და კონფერენციის ორგანიზება)

52. მოსწავლეთა ყოველწლიურ ქვეყნის შიდა, თუ საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის ფასილიტაცია

53. სააბიტურო კლასის მოსწავლეებისათვის პროფესიისა და პროგრამების შერჩევის, უნივერსიტეტების არჩევის, ჩაბარების და დაფინანსებების მოპოვების მიმართულებით დამხმარე სამსახურის შექმნა.

ამოცანები	განსახორციელებელი ღონისძიებები	განხორციელების ვადები	პასუხის-მგებელი პირები	მიღწეული შედეგის განმსა-ზღვრელი ფაქტორები
სკოლაში ახალი უსასყიდლო საოლიმპიადე კლუბების გახსნა დაინტერესებულ მოსწავლეთათვის	5) პედაგოგთან შეთანხმება, რომ უხელმძღვანელოს საოლიმპიადო ჯგუფს, მოამზადოს ბავშვები, გაიყვანოს ოლიმპიადაზე 6) ხელშეკრულების გაფორმება პედაგოგთან 7) კლუბის მატერიალური მხარდაჭერა 8) მოსწავლეებში კლუბში გაწევრიანების წახალისება	2024-სექტემბერი/ოქტომბერი	სკოლის კათედრის ხელმძღვანელები, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადემიური მიმართულებით	ქიმიის საოლიმპიადე ჯგუფის გარდა (რომელიც სკოლაში ისედაც არსებობს), მოსწავლეები ერთვებიან სხვა საოლიმპიადე ჯგუფებში ინტერესების მიხედვით, ემზადებიან, გადიან ოლიმპიადებზე
სკოლის ძირითადი სხვა საშუალებების განახლება	კარადების, სპორტული აღჭურვილობის, ტექნიკის, ბიბლიოთეკის	2024-აგვისტო	ადმინისტრაციის უფროსი, ფინანსური მენეჯერი	სკოლის მოსწავლეები და თანამშრომლები

	რესურსების, ლაბორატორიის რესურსების, აუდიტორიების და სხვა საოფისე ავეჯის შეძენა			სარგებლობენ სკოლის ძირითადი საშუალებებით
სკოლაში თანამშრომლების პროფესიული განვითარების სქემის შექმნა.	3. სკოლის მენეჯერი სკოლის ადმინისტრაციის უფროსთან ერთად სკოლის თანამშრომლებთან შეთანხმებით შეადგენს სკოლის თანამშრომლების პროფესიული განვითარების სქემას 4. სკოლის პროფესიული განვითარების სქემა გამოქეყნდება სკოლის თანამშრომლებთან	2025 იანვარი	ადმინისტრაციის უფროსი; ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადმეიური მიამართულებით; ხარისხის მართვის კონსულტანტი	სკოლის ყველა თანამშრომელს ეცოდინება მისი პროფესიული განვითარების გეგმა და მიზანი
არსებული მასწავლებლების		2024-2025	ხარისხის მართვის	სკოლას ეყოლება

დატრენინგება-გადამზადებას	5. ტრენინგების ჩატარების ორგანიზება 6. ტრენინგის დაფინანსება 7. ტრენინგზე პედაგოგთა დასწრების უზრუნველყოფა	მთელი წლის განმავლობაში	კონსულტანტი, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადემიური მიმართულებით	ამაღლებული კომპეტენციის კადრები სკოლაში და გაუმჯობესდება მათი მუშაობის ხარისხი
სკოლის ტექნოლოგიური ბაზების დახვეწა. ადმინისტრაციის ყველა წევრისთვის დამოუკიდებელი ელექტრონული მისთვის დამხმარე გვერდის შექმნა.	3. სკოლის პროგრამისტისათვის ტექნიკური დავალებების ეტაპობრივი მიცემა 4. გაწეული საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება	2024-2025 მთელი წლის განმავლობაში	ადმინისტრაციის უფროსი	სკოლის ყველა თანამშრომელი სარგებლობს სკოლის ახალი ელექტრონული ბაზით, რომელიც მორგებულია მათ საჭიროებებს და უადვილებს მათ ყოველდღიურ შრომას
სკოლაში მოსწავლეებისათვის მეტი საგნის შეთავაზება არაფორმალური განათლების	5. პედაგოგების მოძიება 6. მოსწავლეებისათვის ფასიანი და უფასო	2025 მაისი	ადმინისტრაციის უფროსი; ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე	მოსწავლეებს აქვთ დიდი არჩევანი რა საგანი აირჩიონ ნაწილი უფასოდ,

ფარგლებში უსასყიდლოდ, ან დამატებითი საფასურის სანაცვლოდ.	შემოთავაზებების გაკეთება 7. სკოლაში ახალი წრეების, კლუბების დაარსება (1. საინტერესო არაფორმალური განათლების საინტერესო კლუბების მოძიება 2. სკოლის ბაზაზე მათი ფუნქციონირების მიმართულებით ხელშეკრულების გაფორმება 3. სკოლის მოსწავლეებისათვის ახალი შეთავაზებების გაცნობა და რეგისტრაციის პროცესის ფასილიტაცია)		აკადმეიური მიამართულებით	ნაწილი დამატებითი საფასურის სანაცვლოდ სკოლაში ფუნქციონირებს მრავალი არაფორმალური განათლების წრე

დამრიგებლების, პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების გადამზადება ახალი სააღმზრდელო პროგრამების მიხედვით.	4. ტრენინგების ორგანიზება 5. დატრენინგებული დამრიგელბებისა და თანამშრომლების მიერ პროგრამის განხორციელების მუდმივი მონიტორინგი და უკუკავშირის მიცემა 6. მონიტორინგის სისტემის შექმნა და ტრენერისა თუ მენტორის შერჩევა სკოლის წიაღიდან, ან გარე, ახალი კადრის მოწვევა	2025 თებერვალი/მარტი	ადმინისტრაციის უფროსი; ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადმეიური მიამართულებით; სწავლების მენეჯერი	დამრიგებლებიც და პედაგოგებიც ახალ სააღმზრდელო პროგრამას ახორციელებენ მაღალი ხარისხვით
მოსწავლეთათვის ტრადიციული სასკოლო ბანაკების	4. შერჩევა საზაფხულო და ზამთრის	2025 მაისი	ადმინისტრაციის უფროსი;	სკოლის მოსწავლეები ყოველ ზაფხულს და

შეთავაზება საქართველოს მაშტაბით როგორც ზაფხულში ისე ზამთარში მოსწავლეებისა თვის შეთავაზებული კლუბების გამრავალფეროვნება	ბანაკების რომელთანაც სკოლა ითანამშრომლებს ყოველწლიურად 5. ბანაკებთან მაქსიმალურად მოსწავლეებისა თვის სარფიანი ხელშეკრულების გაფორმება 6. შერჩეული ბანაკების მოსწავლეებში პოპულარიზაცია		ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე	ზამთარს დადიან სკოლის მიერ შემოთავაზებულ ბანაკებში
მოსწავლეების ათვის შეთავაზებული კლუბების გამრავალფეროვნება	4. ფასიანი წრეების, სახელოსნოების, სტუდიების მოწვევა სკოლაში 5. მათთან ხელშეკრულების გაფორმება 6. მოსწავლეებისა თვის ახალი კლუბების გახსნის შესახებ	2024-ოქტომბერი	ადმინისტრაციის უფროსი; ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადმიური მიამართულებით	სკოლის მოსწავლეები სკოლის დასრულების შემდგომ დადიან სხვადასხვა ფასიან წრეებზე ინტერესების მიხედვით, აქვთ მეტი არჩევანი.

	ინფორმაციის მიიწოდება			
სასკოლო უსაფრთხოების წესების, სააღმზრდელო თუ სადამრიგებლო პროგრამების თუ სხვა რეგულაციების სტანდარტების მიხედვით გაწერა	3. სამუშაო ჯგუფის შექმნა რომელშიც შევლენ ფსიქოლოგები, მენეჯერები, იურისტი, და სხვა ადმინისტრაციის წევრები 4. გუნდისათვის სამუშოს შესასრულებლად დროის მიცემა	2025 -მარტი	ადმინისტრაციის უფროსი; ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადმიური მიამართულებით; სწავლების მენეჯერი,	სკოლის თანამშრომლები სარგებლობენ სტანდარტების შესაფერისად გაწერილი სადამრიგებლო-სააღმზრდელო პროგრამით, უსაფრთხოების წესებით, და სხვა.
სასკოლო საზოგადოებისათვის ახალი რეგულაციებისა და პროგრამების გაზიარება, ყოველდღიურ სასკოლო ცხვორებაში დანერგვა.	4. შედგენილი რეგულაციების, სტანდარტების და პროგრამების სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობა ელ.-ჟურნალისა და ვებ-გვერდის მეშვეობით	2025 მარტი	ადმინისტრაციის უფროსი; ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადმიური მიამართულებით	სკოლის თანამშრომლები ხელმძღვანელობენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჯანდაცვის, ფსიქოლოგიური დახმარების, კვების

	5. მისი შესრულების მონიტორინგი და უკუკავშირი თანამშრომლებთან ხარვეზის დადგენის შემთხვევაში 6. მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა			უზრუნველყოფის თუ სხვა სფეროში.
ახალი, ინტეგრირებული სახელმძღვანელოსა და მასწავლებლის წიგნის შექმნა ისტორიაში, პოლიტიკურ გეოგრაფიაში, ეკონომიკა, ხელოვნება, მუსლიტერატურასა და ფილოსოფიაში.	1.მანანა სანაძის მიერ შექმნილი რესურსების დასამუშავებლად და სამუშო ჯგუფის შექმნა 2.ჯგუფისთვის დავალების მიცემა რომ დაწერილ რესურსს მისცენ სახელმძღვანელოს ფორმატი 3.სამუშაო ჯგუფისათვის ვადების მიხემა 4.საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმება	2025 მთელი წლის განმავლობაში	ადმინისტრაციის უფროსი; ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადმიური მიამართულებით	პედაგოგები და მოსწავლეები დამატებით სარგებლობენ ახალი ისტორიის სახელმძღვანელოთი, რომელიც შეესაბამება საქართველოში არსებულ სახელმძღვანელოს სტანდარტებს

ფსიქოლოგის კლუბის შექმნა და სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობა. და გამდიდრდება სასკოლო ცხოვრებაც	4. სკოლის ფსიქოლოგის მაია ხუნდაძის მიერ ფსიქოლოგის კლუბის შექმნა, კლუბის მისიის და მიზნების შემუშავება, მოსწავლეთა გაწევრიანება	2025 მთელი წლის განმავლობაში	ადმინისტრაციის უფროსი; ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადმიური მიამართულებით	პედაგოგები და მოსწავლეები დამატებით სარგებლობენ ახალი ისტორიის სახელმძღვანელოთი, რომელიც შეესაბამება საქართველოში არსებულ სახელმძღვანელოს სტანდარტებს
სკოლის შენობაში აუდიო გახმოვანების სისტემის მოწყობა	3. სამუშაო ჯგუფის შექმნა 4. ინვენტარის შეძენა, თანხის გადარიცხვა	2024-აგვისტო	ადმინისტრაციის უფროსი	სკოლის შენობაშ მოწყობილია აუდიო გახმოვანების სისტემა
წიგნიერების ახალი, ისტორიის საგანთან ინტეგრირებული პროგრამის შექმნა	1.ქართულის კათედრისათვის წიგნიერების პროგრამის ისტორიასთან შერწყმის საჭიროების გაცნობა 2.სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც წასაკითხ მასალას	2024-სექტემბერი	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი	სკოლაში მოსწავლეები კითხვის კლუბში გადიან ნაწარმოებებს, რომელიც თანხვედრაშია იმ ეპოქასთან რომელსაც ისტორიაში გადიან

	მოსწავლეთა ასაკის მიხედვით შეუსაბამებს იმ ეპოქას რომელსაც მოსწავლეები ისტორიაში გადიან 3.სამუშო ჯგუფისათვის პროგრამის გასაწერად დროის მიცემა			
მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩრთულობის გაძლიერება მშობელთა მმართველობითი ორგანოს ჩამოყალიბების სახით	1.მშობელთა კლუბის შექმნისა და ფუნქციონირების რეგულაციის გაწერა 2.მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდება 3.მშობელთა კლუბში მშობლების რეგისტრაცია და შემუშავებული რეგულაციების მიხედვით უფლებამოსილების მშობლებისათვის დელეგირება	2024-სექტემბერი	ადმინისტრაციის უფროსი; ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადმიური მიამართულებით, სწავლების მენეჯერი	სკოლის მშობლები ჩრთული არიან სკოლის მართვაში აქვთ განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი

საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ-პროფესიონალი აკადემიური კადრით უზრუნველყოფა	ახალი კადრების აყვანა მოხდეს კონკურსის მეშვეობით პედაგოგის შერჩევისას ყურადღება მიექცეს მის სტაჟს მის პროფესიონალიზმს. ხელშეკრულება გაფორმდეს მხოლოდ პროფესიონალ პედაგოგებთან	2024-2025 წლის განმავლობაში	ადმინისტრაციის უფროსი; ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე აკადმიური მიამართულებით	სკოლაში პროგრამების განხორციელების ხარისხმა აიწია რადგამ გაკვეთილებს ატარებენ საგნის პროფესიონალი პედაგოგები

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გადასინჯვის მეთოდები

სამოქმედო გეგმაში ცვლილების ინიცირება შეუძლია პედაგოგთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მშობელთა კლუბს, სკოლის დირექტორს, ადმინისტრაციის უფროსს, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს ხარისხის მართვის მიმართულებით სამოქმედო გეგმაში ცვლილებას ამტკიცებს პარტნიორთა კრება.